გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 20

2023 წლის 13 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/ნ 418471059) 2022 წლის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/ნ 418471059) 2022 წლის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1.დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/ნ 418471059) 2022 წლის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შემადგენლობაში შედის:

- შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, გორის რაიონში არსებული სხვადასხვა სპორტული სექციებით (სოფ: ატენი, ქვახვრელი, სკრა, ზერტი, მერეთი, ფლავისმანი),
- გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა,
- ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა,
- ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა,
-გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლა,
- მოსწავლე-ახალგაზრობის სპორტული ტურიზმის ცენტრი,
- ძიუდოს კლუბი „Golden Gori”,
- თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club”;

სავარჯიშო-საწვრთნელ საქმიანობას უძღვება 102 მწვრთნელ- მასწავლებელი სპორტის შემდეგ სახეობებში:

1.კალათბურთი;

2. ხელბურთი;

3. ფრენბურთი;

4. ტანვარჯიში;

5. ჩოგბურთი;

6. ძალოსნობა;

7. მძლეოსნობა;

8. რაგბი;

9. კარატე-დო;

10. ტაეკვანდო;

11. კიკ-ბოქსინგი;

12. კრივი;

13. ქართული საბრძოლო ხელოვნება;

14. მეკლდეურთა წრე (სოფ. ნიქოზი) ;

15. თავისუფალი ჭიდაობა;

16. ქართული ჭიდაობა;

17. ძიუდო;

18.ჭადრაკი;

19. მკლავჭიდი;

20. სამბო.

2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სპორტულ სკოლებში რიცხული ბავშვების (სპორტსმენების) რაოდენობა ასეთია:

სპორტული სკოლის დასახელება	ბავშვთა(სპორტსმენთა) რაო-ბა:	მ.შ. გოგო:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	1728	540
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	147	16
მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ტურიზმის ცენტრი	10	4
მეკლდეურთა წრე	25	8
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	88	3
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	166	1
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	477	15
სულ:	***2641***	***587***

სააგენტოს 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 2323000 ლარს. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 288327 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1375775 ლარით, მივლინება 27012 ლარით, ოფისის ხარჯი 197994 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 79476 ლარით, სამედიცინო ხარჯი 2136 ლარით, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი 5449 ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 83934 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 87090 ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 6495 ლარით, სხვა ხარჯის (გასვლითი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება) 149312 ლარით, არაფინანსური აქტივების შეძენისათვის განისაზღვრა 20000 ლარი.

2022 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2022 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 2306005- ლარი, იმავე პერიოდის მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1.შრომის ანაზღაურების მუხლით გაიხარჯა - 288327 ლარი,

2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასზე - 1362250ლარი,

3.მივლინებებზე - 26947 ლარი,

4.ოფისის ხარჯები შეადგენს - 197891 ლარს,

5.წარმომადგენლობითი ხარჯი - 79476 ლარს,

6.სამედიცინო ხარჯი - 2136 ლარს,

7. რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 5449 ლარს,

8.ტრანსპორტის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი - 83868ლარს,

9. სოციალური უზრუნველყოფა --6494 ლარს,

10.სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი--86689 ლარს,

11. სხვადასხვა (სპორტული ღონისძიებების) ხარჯი - 149245ლარს,

12. შეძენილია არაფინანსური აქტივები თანხით 17233 ლარი .

2022 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ განხორციელებული შიდა სპორტული შეჯიბრებები:

1. 25 იანვარს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის პარამკლავჭიდში იოსებ დურგლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 868 ლარი.
2. 29 იანვარს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე–მოკრივეთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 72 ლარი.
3. 12 თებერვალს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა 208–2009 წ.წ. და 2010–2011 წ.წ. დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 23ლარი
4. 26 – 27 თებერვალს ნუგზარ სხირელის სახელობის ჭიდაობის სპეციალიზირებულ სკოლაში ჩატარდა სპორტის ოსტატის ბადრი ბარამიძისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის ომზარ შოშიტაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში 2011–2012 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 956 ლარი.
5. 19-20 მარტს ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლის დარბაზში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე მოკრივეთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 19 ლარი.
6. 25 – 26 მარტს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 358 ლარი.
7. 2 – 3 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა კარატესა და ტაეკვონდოში. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 213 ლარი.
8. 5 – 7 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ხინჩეგაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება 2008–2009 წ.წ. დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 13 442 ლარი.
9. 13 – 14 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის პირველობა ხელბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 250 ლარი.
10. 30 აპრილს გორში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონის კიკ–ბოქსინგში ვახტანგ ქუთათელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ახალგაზრდებს შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 880 ლარი.
11. 13, 14, 15 მაისს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს პირველობისათვის შესარჩევი შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში, შიდა სასკოლო ჩემპიონატი ხელბურთში და შეჯიბრება ეროვნულ თამაშებში. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 193 ლარი.
12. 21 მაისს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე–მოკრივეთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 327 ლარი.
13. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაიმართა შეჯიბრება მკლავჭიდში და მხიარულ სტარტებში. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 2060 ლარი.
14. 1 ივნისს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ტანვარჯიშში.ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 7 ლარი.

15. 15 – 19 ივნისს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი კანდელაკის სახელობის შეჯიბრება კრივში ახალგაზრდებს შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 35 716
16. 9 ივლისს გიორგი კანდელაკის სახელობის სოფ.ვარიანი კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე–მოკრივეთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 24 ლარი.
17. 11 აგვისტოს სოფელშინდისში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული შინდისის გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულჭიდაობაში, ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 6138 ლარი.
18. 2 სექტემბერს ჩატარდა შოთა ჩოჩიშვილის ოლიმპიური ჩემპიონობიდან 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძებები, რომლის ხარჯმაც შადგინა 5828 ლარი.
19. 13 ოქტომბერს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ მურაჩაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ძიუდოში ჭაბუკთა შორის(2009–2010წ.წ./2011–2012წ.წ.), ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 166 ლარი.
20. 23 ოქტომბერს გორში ჩატარდა „გორის დღე2022“ ,რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში, ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 1078 ლარი.
21. 27 ოქტომბერს ქ. გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონის , სახელოვანი ფალავნის ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ძიუდოში 2006–2008 წ.წ. დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 3230ლარი.
22. 12 – 14 ნოემბერს ქ. გორში სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის II მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 21 394ლარი.
23. 17 – 20 ნოემბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი კარელიძის მემორიალური ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის, ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 6819ლარი.
24. 26 ნოემბერს გორის სპორტის სასახლეში გაიმართა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობა მიიღო სააგენტოს ძიუდოს კლუბმა „გოლდენ გორმა“, რომელმაც დაიკავა მესამე ადგილი. ღონისძების საორგანიზაციო ხარჯებმა შეადგინა 65 471 ლარი.
25. 5 დეკემბერს ქ. გორში ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებულ სკოლაში გენდერული ძალადობის წინააღმეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარდა შეჯიბრება კრივში,ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 135ლარი.
26. 10 დეკემბერს გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე მოკრივეთა შორის, ღონისძიებისათვის გაიხარჯა – 63 ლარი.

გასვლითი ღონისძიებები

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს მიერ გასვლით ღონისძიებებში გახარჯულ თანხებს და ღონისძიებათა რაოდენობას სპორტული სკოლებისა და სექციების მიხედვით:

ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებულმა სკოლამ 2022 წელს მიიღო 12 ღონისძიებაში მონაწილეობა , რისთვისაც გაიხარჯა 28 695 ლარი;

გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურმა სკოლამ მიიღო 25 შეჯიბრებაში მონაწილეობა, რისთვისაც გაიხარჯა 34048 ლარი;

სოფელ ვარიანის გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის სკოლა მონაწილეობდა 9 სპორტულ ღონისძიებაში და გაიხარჯა 8130 ლარი;

ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სპეციალიზირებული სკოლის მოჭიდავეთა გუნდმა მიმდინარე წელს მიიღო 14 შეჯიბრებაში მონაწილეობა, გაიხარჯა 21850 ლარი;

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სპორტული სკოლის სხვადასხვა სექციებმა მიმდინარე წელს ჯამში მიიღეს 138 სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა, რისთვისაც გაიხარჯა 61 311 ლარი: წარომოგიდგენთ სპორტული სექციების მიხედვით გახარჯულ თანხებს: თავისუფალი სტილით ჭიდაობა – 15 970 ლარი; ძიუდო – 7569 ლარი; ფრენბურთი – 5280 ლარი; ხელბურთი ვაჟები – 5315 ლარი; ხელბურთი გოგონები – 2445 ლარი; კიკ–ბოქსინგი – 3950 ლარი; კალათბურთი – 4948 ლარი, რაგბი – 4275 ლარი, ძალოსნობა – 2645 ლარი; მკლავჭიდი – 2870 ლარი; კარატე–დო – 1540 ლარი; ტანვარჯიში – 1380 ლარი; ჭადრაკი – 860 ლარი; ტაეკვონდო – 1845 ლარი; ჩოგბურთი – 420 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად.თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნებისა

და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.